ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სხდომის ოქმი №3

09.09. 2019 წ.
12.სთ

ქ. ლანჩხუთი

სხდომას ესწრებოდნენ:

ა) თენგიზ ქერქაძე - სხდომის თავმჯდომარე- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

ბ) ჯონი ცინცაძე - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი

ბ) დავით გოგიჩაიშვილი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი

დ) ლუიზა კეკელიძე - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი

ე) იათამზე წილოსანი- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი

სხდომის თავმჯდომარე: თენგიზ ქერქაძე

მდივანი: იათამზე წილოსანი

დღის წესრიგი

1. ინფორმაცია მრჩეველთა საბჭოს მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე დასმული საკითხების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

მომხსენებელი: თენგიზ ქერქაძე

2. მრჩეველთა საბჭოს მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისათვის წარსადგენი წინადადებების განხილვა.

მომხსენებელი: თენგიზ ქერქაძე

განხილვა:

მომხსენებელმა დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა რომ მერის ინფორმაციით მამათის კულტურის სახლის შესახებ საკითხი არაერთხელ იქნა დაყენებული შესაბამისი ორგანოების წინაშე, მაგრამ დღემდე ვერ მოხერხდა მისი დადებითად გადაწყვეტა. რაც შეეხება მამათის ყოფილი უნივერმაღის შენობას ის შეტანილია საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში, რამდენჯერმე იქნა გატანილი აუქციონზე, მაგრამ არ გაიყიდა. ამჟამად იგეგმება მისი 30% ფასდაკლებით რეალიზაცია.

ქალაქის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობისა და ჭავჭავაძისა და გვარჯალაძის ქუჩების ასფალტირების საკითხი შეტანილია ქალაქის ინფრასტრუქტურულ გეგმაში.

ქალაქის ყოფილი უნივერმაგის ფასადის მოწესრიგებასთან დაკავშირებით გაფრთხილებული იქნენ მესაკუთრეები. ის ჩასმულია „ქალაქის იერსახის მოწესრიგების" გეგმაშიც.

-მერის ინფორმაციით შემუშავებულია სოფელ ორაგვის ინფრასტრუქტურული განვითარების გეგმა. დაწყებულია გზის მოწესრიგება.

კენჭი ეყარა საკითხს.
მომხრე-5; მოწინააღმდეგე-0.

საბჭომ დადგინა:
სხდომამ აღნიშნული ინფორმცია მიიღოს ცნობად.

მომხსენებელმა დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებისა და საზოგადოებისაგან მიღებული წინადადებების საფუძველზე მიზანშეწონილია მერს უმოკლეს ვადაში გადასაწყვეტად წარედგინოს შემდეგი საკითხები:

1. ქალაქის შემოსასვლელში ყოფილი „ყველ-კარაქის" ქარხნის წინ არსებული ლანჩხუთის აღმნიშვნელი აბრა ავტოავარიის შედეგად დანგრეულია. საჭიროა მისი აღდგენა.
2. მართალია მიმდინარეობს სანიაღვრე არხების მოწყობა, მაგრამ ქალაქის ცენტრში საკირის ღელიდან ნომერ პირველ სკოლამდე არსებული არხი არის უმოქმედო, არხი არ არის შეერთებული კანალიზაციის ქსელთან. აღნიშნულ არხში ჩაედინება როგორც იქ მცხოვრები მოსახლეობის, ასევე სავაჭრო ობიექტებისა და საცხობების მიერ მოხმარებული წყალი, რაც ქმნის ანტისანიტარიას. განსაკუთრებით გაუსაძლისი მდგომარეობაა ზაფხულის პერიოდში.
3. ბავშვთა უსაფრთხოების მიზნით საჭიროა N3 სკოლის წინ მუსხელიშვილის ქუჩაზე გაკეთდეს ე.წ დაბრკოლება „მწოლიარე პოლიციელი"
4. ქალაქის ცენტრში გარე ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლას არ უნდა ჰქონდეს კამპანიური ხასიათი.
5. რაიონში დღეის მდომარეობით თირკმლის დაავადებით, რომელიც უკმარისობით მიმდინარეობს და საჭიროებს დიალიზის ჩატარებას მკურნალობს 21 პაციენტი, რომლებიც მკურნალობენ სხვადასხვა ქალაქში. საუბედუროდ მათი რიცხვი იზრდება. კარგი იქნება თუ შესაბამის ორგანიზაციებში დაყენებული იქნება საკითხი აღნიშნული პროცედურის ლანჩხუთში ჩატარების შესახებ.

კენჭი ეყარა საკითხს.
მომხრე-5; მოწინააღმდეგე-0.

საბჭომ დაადგინა: დასახელებული წინადადებები წარედგინოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ალექსანდრე სარიშვილს.

თენგიზ ქერქაძე - მრჩევალთა საბჭოს თავმჯდომარე
იათამზე წილოსანი- მრჩევალთა საბჭოს მდივანი